პროექტი

საქართველოს ორგანული კანონი

,,საქართველოს ორგანულ კანონში ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“

მუხლი 1. საქართველოს *საარჩევნო კოდექსს (მიღებულია 27 ნოემბერი 2011 წ N5636-რს)* *დაემატოს შემდეგი შინაარსის 199[1] მუხლი:*

,,მუხლი 199[1] . საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების კენჭისყრის ხანგრძლივობის დროებითი წესი.

„1. კენჭისყრა იმართება კენჭისყრის შენობაში არჩევნების (კენჭისყრის) დღის 8 საათიდან 23 საათამდე.

2. კენჭისყრის შენობა იკეტება 23 საათზე. ამ დროისათვის რიგში მდგომ ამომრჩევლებს შეუძლიათ ხმის მიცემა, რისთვისაც საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დავალებით კომისიის ერთ-ერთი წევრი აღრიცხავს რიგში მდგომ ამომრჩეველთა გვარებსა და სახელებს, მათ რაოდენობას აცნობებს საუბნო საარჩევნო კომისიის თავჯდომარეს, ხოლო კომისიის მდივანი ჩანაწერთა წიგნში აღნიშნავს რიგში მდგომ ამომრჩეველთა რაოდენობას. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე აცხადებს, რომ კენჭისყრაში მონაწილეობა მხოლოდ რიგში მდგომ ამომრჩევლებს შეუძლიათ.

3. გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის პროცედურა იწყება კენჭისყრის დღის 9 საათიდან და სრულდება 22 საათზე.

გადასატანი საარჩევნო ყუთი საარჩევნო უბანში უნდა დაბრუნდეს არა უგვიანეს 23 საათისა.“

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოსპრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**